

შპს ბ. თ. ბათუმი ს/ნ 245594245

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს ბ. თ. ბათუმი

2023 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	3
2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4-5 4-5
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	6
4. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	13

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა				
	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	3,457	121,464	21,212
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	2,503,427	2,747,139	1,025,802
მარაგები		-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3	8,290,243	4,423,580	300,005
ბიოლოგიური აქტივები				
სხვა არამატერიალური აქტივები		1,194	1,194	1,194
ძირითადი საშუალებები		6,939,238	7,187,182	5,226,114
სულ აქტივები		17,737,559	14,480,559	6,574,327
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		217,614	218,075	16,435
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		2,100	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		122	-	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		6,290,776	7,183,376	2,197,484
სხვა ვალდებულებები		5,353,385	3,918,859	229,135
სულ ვალდებულებები		11,863,997	11,320,310	2,443,084
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		1,841,666	2,373,688	2,246,017
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,031,896	786,561	1,217,768
სულ საკუთარი კაპიტალი		5,873,562	3,160,249	1,217,768
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		17,737,559	14,480,559	3,660,852

2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	4	5397917	2,469,210	780,860
საქონლის გაყიდვიდან		9,289	-	3,081
მომსახურების გაწევიდან		808,988	-	777,779
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		4,579,640	2,469,210	-
გაყიდვების თვითღირებულება		(3,458)	(409,821)	(2,394)
საერთო მოგება		5,394,459	2,059,389	778,466
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	1,548,892	1,031,965
დასაქმებულთა ანაზღაურება		(389,878)	(113,807)	(70,485)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი		(157,556)	(158,052)	(185,984)
საპროცენტო შემოსავალი		8,244	25,127	-
საპროცენტო ხარჯი		(645,166)	(386,092)	(132,902)
იჯარის ხარჯი		-	-	(85)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(196,107)	(244,545)	(746,862)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,380,463)	(877,369)	(1,136,318)
საოპერაციო მოგება		4,013,996	2,730,912	674,113
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:				
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(70,034)	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(401,962)	(985,997)	-
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		3,542,000	1,744,915	674,113
მოგების გადასახადის ხარჯი		(36,821)	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		3,505,179	1,744,915	674,113
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები).		-	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-	-	-

შპს ბ. თ. ბათუმი ს/ნ 245594245

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		3,505,179	1,744,915	674,113
-------------------------------------	--	-----------	-----------	---------

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		3,160,249	4,131,243	1,471,654
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		-	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(291,514)	(2,170,710)	(97,850)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		31,670	(545,199)	2,083,326
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(532,022)	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		5,873,562	3,160,249	4,131,243

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს შპს ბ. თ. ბათუმი-ს 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

შპს ბ. თ. ბათუმი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2007 წლის 18 მაისს შპს "ტანსაცმელინდკერვა" -ს სახელწოდებით, საიდენტიფიკაციო ნომრით - 245594245. 2022 წლის 10 იანვარს რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი გახდა შპს ბ.თ. ბათუმი, საიდენტიფიკაციო კოდი 245594245. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ., N4. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. ასევე მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

კომპანიის 100%-იანი წლისი მფლობელია შპს ბაკური (ს/ნ 245392089). კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი - თენგიზ ბაკურიძე (პ/ნ 61006000763)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარისთვის შეადგენდა 2.6894 ლარს, 1 ევროსათვის შეადგენდა 2.9753 ლარს. 2022 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარი შეადგენდა 2.7020 ლარს, 1 ევროსათვის შეადგენდა 2.8844 ლარს, 2021 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარისთვის შეადგენდა 3.0976 ლარს, 1 ევროსათვის შეადგენდა 3.5040 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშგება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციები განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

მიდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა

დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღრიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი თვითღირებულების მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორშიც ის იმყოფება. კომპანიის მიერ სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერა ხდება მათი რეალიზაციის/გახარჯვისთანავე. სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომელთა ფასი მცირეა და მათი გამოყენება ხდება დროის უმცირეს მონაკვეთში (სამეურნეო და

საკანცელარიო საქონელი) პირდაპირ აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშებში, ხარჯებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლების, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითად საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა- ნაგებობების ცვეთა - 50 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 10-15 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 15-20 წელი

არამატერიალური აქტივები

განცალკევებულ ანგარიშზე აისახება არამატერიალური აქტივები, რომელიც შედგება ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კომპიუტერული პროგრამებისგან რომელთა სასიცოცხლო პერიოდი შეადგენს 1-15 წელი.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

დაქირავებულ პირთა ხელფასები.

შრომის ანაზღაურება, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა თანამშრომელთა სარგებელი აღირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშვება, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

ხარჯად აღიარება

მოგება ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების აღიარება ხდება მიღებულ საქონელზე ან მომსახურებაზე ყველა უფლების სრულად მიღების მომენტში გაცემული ან გასაცემი კომპენსაციის ოდენობით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს შპს ბაკური (245392089), მასთან განხორციელებულ ოპერაციებს წარმოადგენთ შენიშვნის სახით (შენიშვნა 6).

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ განხორციელებულა.

4. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების
ეკვივალენტები**

	<u>12/31/2023</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1,447	1703	737
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	2,009	119639	20464
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	1	122	11
სულ ფულადი სახსრები	3457	121464	21212

შენიშვნა 2**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

	<u>12/31/2023</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	744,066	737788	677595
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	437,217	929220	
წინასწარ გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი	1,322,144	1080131	348207
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,503,427	2,747,139	1,025,802

შენიშვნა 3**სხვა მოკლევადიანი აქტივები**

	<u>12/31/2023</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
მარაგები	8,290,243	4423580.00	300005
სულ	8290243	4423580	300005

შენიშვნა 4**ამონაგები**

	<u>12/31/2023</u>	<u>12/31/2022</u>	<u>12/31/2021</u>
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	9,289	-	3,081
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	808,988	-	777,779
შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	4,579,640	2,469,210	-
სულ ამონაგები	5,397,917	2,469,210	780,860

შპს ბ. თ. ბათუმი ს/ნ 245594245
 ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 5	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	52,278	40960	18283
კომუნალური მომსახურების ხარჯი	1,485	830	1708
საოფისე ხარჯი	13,067	28444	46141
რემონტისა და მასალების ხარჯი	129,277	174311	680730
სხვა საერთო ხარჯი	196107	244545	746862
სულ			

შენიშვნა 6	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული			
ოპერაციები	4,085	0	0
საქონლისა და მომსახურების მიწოდება	175	0	0
საქონლისა და მომსახურების მიღება	4260	0	0
სულ			

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის
 მიერ 2024 წლის 4 ოქტომბერს.

დირექტორი
 თ. ბაკურიძე

თ. ბაკურიძე